დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის ფარგლებში ფასადის არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა

სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი No 1/3

ქ. თბილისი 7 ივლისი 2015 წ.

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე: ამირან გამყრელიძე

კომისიის წევრები: ეკატერინე ქავთარაძე, ირმა ხონელიძე, პაატა იმნაძე, კონსტანტინე ოჩიგავა, კახაბერ ფირცხალაიშვილი.

სხდომას არ ესწრებოდა საკონკურსო კომისიის წევრი ტარიელ ჭანტურიძე.

დღის წესრიგი:

დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის ფარგლებში სსიპ ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" სათაო ოფისის ტერიტორიაზე (მ. ასათიანის ქ. №9) მდებარე შენობების გარე ფასადის არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის (CPV71320000) მიზნით 2015 წლის 17 ივნისს გამოცხადებულ N 1691 კონკურსში საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვა.

კომისიამ განიხილა: დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის ფარგლებში სსიპ ,,ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" სათაო ოფისის ტერიტორიაზე (მ. ასათიანის ქ. №9) მდებარე შენობების გარე ფასადის არქიტექტურული და საპროექტო მომსახურების შესყიდვის (CPV71320000) მიზნით 2015 წლის 17 ივნისს გამოცხადებულ N 1691 კონკურსში მონაწილე შპს „მ და ლ არქიტექტურას" მიერ, წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რომელიც შეიცავს შემდეგ უზუსტობებს:

1. საკონკურსო პირობების შესაბამისად არ არის მითითებული სამუშაოების ხარჯთაღრიცხვის სავარაუდო ღირებულება (რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 140000 ლარს);
2. ინფორმაცია კონკურსანტის, ან ამ პროექტის შესრულებაში მონაწილეების მიერ უკვე განხორციელებული ანალოგიური მომსახურების-არქიტექტურული პროექტის შესახებ (შესაბამის ესკიზებთან და ფოტომასალასთან ერთად);
3. ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;
4. ინფორმაცია არ არის წარმოდგენილი, გასაწევი მომსახურების ტექნიკური აღწერილობის შესაბამისად (ავტომანქანის ცენტრალურ შესასვლელში ტურნიკეტისა და

საიდენტიფიკაციო ელექტრონული ბარათების წამკითხველები და ელექტრო კარი, ავტომანქანის სათადარიგო შესასვლელში ელექტრო კარი, გარე განათება, ასათიანის ქუჩის მხარეს არსებული ელექტროქსელის მოწესრიგება და აშ).

5. არ არის წარმოდგენილი სამშენებლო სამუშაოებისათვის ძირითადი გამოსაყენებელი მასალის სპეციფიკაციები, ტექნიკური და ფიზიკური მახასიათებლები.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება:

1.დაავადებათა კონტროლისა და ეპიდემიოლოგიური უსაფრთხოების პროგრამის მართვის ფარგლებში 2015 წლის 17 ივნისს გამოცხადებულ N 1691 კონკურსში მონაწილე კონკურსანტს შპს „მ და ლ არქიტექტურას“ ეთხოვოს საკონკურსო დოკუმენტაციის დაზუსტება 10 ივლისის ჩათვლით, როგორც ნაბეჭდ მასალად A3 ფორმატში, ასევე ელექტრონული ვერსიის სახით (PDF ფაილით, რომლის ერთი ფაილის მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 8 მგბ–ს და ხელმოწერილი უნდა იყოს შესაბამისად უფლებამოსილი პირის მიერ).

2. გაეგზავნოს, 2015 წლის 7 ივლისს, ელექტრონულ მისამართზე contest@procurement.gov.ge, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ოქმი.

კომისიის თავმჯდომარე: ამირან გამყრელიძე

კომისიის წევრები: ეკატერინე ქავთარაძე,

ირმა ხონელიძე

კონსტანტინე ოჩიგავა

კახაბერ ფირცხალაიშვილი

პაატა იმნაძე